ოსტატთა საჩვენებელი თამაშები

თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ამას წინათ საჩვენებელი მატჩები გამართა საქართველოს ქალაქებში.

პირველი მატჩი თბილისელებმა ჩაატარეს ბათუმის თანაკლუბელებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1. შემდეგი თამაში მათ ჰქონდათ ფოთში ადგილობრივი “ვოდნიკის” წინააღმდეგ. დინამოელებმა მოიგეს იგი ანგარიშით 3:1.

საინტერესო გამოდგა შეხვედრა სოხუმის “დინამოსთან”, სადაც თბილისელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი ბურთი ისე, რომ თავისაში არ მიუღიათ არც ერთი. ბოლო თამაში თბილისისა და ქუთაისის “დინამოს” გუნდებს შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით – 6:2.

დღეს თბილისის “დინამო” თავის მოედანზე შეხვდება საქართველოს ნაკრებ გუნდს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სპარტაკიადაზე ერევანში. დასაწყისი 16 საათზე.

10 ოქტომბერი, 1954 წ.